სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

დოკუმენტი წარმოადგენს სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2022 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, მისი შემუშავების საფუძველია კალენდარული წლის მანძილზე (მეორე და მეოთხე კვარტალი) თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილ ანგარიშები. დოკუმენტში კონკრეტული ინფორმაციები სამოქმედო გეგმის შესრულებასთან მიმართებაში, მიზნის, ამოცანებისა და ინდიკატორების შესაბამისად.

მიზანი - პროფესიული პროგრამების მუდმივი განვითარება ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის მსურველთა დაფარვისა და სწავლების ეფექტიანობის ზრდა

1.1 ამოცანა - კოლეჯის პროფილის შესაბამისად, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული მომზადებისა ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება (ბათუმის მისამართზე)

2022 წელს ბათუმის მისამართზე კოლეჯმა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღო ორი პროფესიული მომზადების განხორციელების უფლება:

- კონდიტერიის მოდულური პროგრამის ფარგლებში შემუშავდა პროფესიული მომზადების პროგრამა **,,ნამცხვრებისა და ტორტების ცხობა - დეკორატიული გაფორმება“** და დადასტურების გზით მოპოვებულია მისი განხორციელების უფლება.
- ასევე, ელექტროობის პროგრამის ფარგლებში განახლდა პროფესიული მომზადების პროგრამა **,,ელექტრული მონტაჟი შენობებსა და მცირე საწარმოებში“** და დადასტურების გზით მოპოვებულია მისი განხორციელების უფლება.

ასევე, სამშენებლო მიმართულებით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების რამდენიმე პროგრამას 2023 წელს გასდის ვადა და დაგეგმილი იყო მათი განახლება. დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება განაახლოს პროფესიული მომზადების პროგრამა ,,მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები“. თუმცა პროგრამის შემუშავება შეჩერებულია, რადგან დაიგეგმა საკვალიფიკაციო პროგრამის გადახედვა.

ინდიკატორი - ნაწილობრივ შესრულებულია - მოპოვებულია ორი პროფესიული მომზადების განხორციელების უფლება, ნაცვლად სამისა. პროფესიული მომზადების

პროგრამის ,,კერამიკული ფილის დაგება“ შემუშავება რჩება აქტუალურ პროგრამად და ასახული იქნება 2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

1.2. ***ამოცანა - მაღალმთიან აჭარაში პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების საშუალებით***

2022 წელს არასამთავრო ორგანიზაციის ,,დემოკრატიის ინსტიტუტი“ მხარდაჭერით, ქედის მისამართზე განხორციელების მიზნით შეიმუშავა ორი პროგრამა ,,ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ და ,,ვენახის გაშენება და მოვლა“ .(**შესრულებულია)**

ქედის მისამართზე დაგეგმილი იყო ტურიზმის მიმართულებით მაღალმთიან აჭარის მოთხოვნების გათვალისწინებით ორი პროგრამის შემუშავება. გამოიკვეთა ფართის საჭიროება. კოლეჯი აწარმოებს მოლაპარაკებებს შესაბამის უწყებებთან გაფართოებასთან დაკავშირებით. თანხმობის მიღების შემთხვევაში ამოცანა ძალაში დარჩება

შუახევის მისამართზე განსახორციელებლად შემუშავებულია პროფესიული მომზადების პროგრამები და წარსადგენია ცენტრში.

ინდიკატორი - ნაწილობრივ შესრულებულია - ქედის მისამართზე მოპოვებულია აგრარული მიმართულებით ორი პროფესიული მომზადების განხორციელების უფლება. დამატებითი ფართის შემთხვევაში ამოცანა ძალაში დარჩება და გადავა 2023 წლის სამოქმედო გეგმაში.

1.3 ამოცანა - ***ქედისა და შუახევის მისამართებზე ზრდასრულთა განათლების სისტემის დანერგვა***

ქედის მისამართზე 2022 წელს დაიწყო ზრდასრულთა განათლების მიღების დანერგვა. პირველი მსმენელები იქნა მიღებული პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ (12 მსმენელი; სასწავლო პროცესი გრძელდება).

გარდა აღნიშნულისა, ა(ა)იპ ,,ასოციაცია ერთმანეთისთვის“ პროექტის (UNDP - ის დაფინანსებით) ფარგლებში ქედის მისამართზე განხორციელდა სამი ტრენინგ - კურსი და კურსები გაიარა 28 პირმა:

- ,,ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსთვის“ - 8 კურსდამთავრებული
- ,,საპროექტო განაცხადის მომზადება:“ – 11 კურსდამთავრებული
- ,,ინფორმაციული წიგნიერება“ – 9 კურსდამთავრებული

შუახევის მისამართზე , როგორც აღინიშნა პროგრამების დამატება არ განხორციელებულა

ინდიკატორი - ქედის მისამართის მიმართებით შესრულებულია

1.4. პროგრამების განვითარება

განხორციელდა შემდეგი პროგრამების მოდიფიცირება: ინფორმაციის ტექნოლოგია; სამკერვალო წარმოება; ელექტროობა (ბათუმის მისამართზე); ელექტროობა (შუახევის მისამართზე); შედუღება (შუახევის მისამართზე) და მეფუტკრეობა (ქედის მისამართზე).

განხორციელებულია სამი დუალური პროგრამის შეფასება (სასტუმრო მომსახურება, სარესტორნო მომსახურება და კულინარიის ხელოვნება). წარმოდგენილია რეკომენდაციები მათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მათ შორის, დაიგეგმა მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება/განახლება. შესაბამისად, აქტივობა გადავა 2023 წელს.

ინდიკატორი - შესრულებულია (პრიორიტეტების მიხედვით ჩანაცვლდა სხვა პროგრამებით)

1.5 ამოცანა - კურსდამთავრებულთა რაოდენობის გაზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად

აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად დაწესებულების მიერ 2022 წლისთვის დაგეგმილი იყო მისაღები პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების რაოდენობის გაზრდა.

ინფორმაცია საკვალიფიკაციო პროგრამების თაობაზე

2022 წლის მიღებისთვის კოლეჯმა რეგისტრაცია გამოაცხადა შემდეგ პროგრამებზე:

1. კულინარიის ხელოვნება (მოდულური)
2. კულინარიის ხელოვნება დუალური)
3. სასტუმრო მომსახურება (დუალური)
4. სასტუმრო მომსახურება (ინტეგრირებული)
5. სარესტორნო მომსახურება (დუალური)
6. შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
7. კომპიუტერული ქსელი და სისტემები
8. ინფორმაციული ტექნოლოგია
9. კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება
10. კონდიტერია
11. საავტომობილო გზების მშენებლობა
12. ელექტროობა
13. სამკერვალო წარმოება
14. ელექტროობა (შუახევის მისამართზე)
15. შედუღება (შუახევის მისამართზე)

ზემოაღნიშნულ პროგრამებზე ჩაირიცხა 281 პროფესიული სტუდენტი. მათ შორის, 13 სსსმ პირი. შუახევის მისამართის ორ პროგრამაზე ჩარიცხულია 43 პროფესიული სტუდენტი.

2022 წლის მიღების ჯგუფებში სწავლა დაიწყო 8 ნოემბერს. აღნიშნულ ჯგუფებში სტატუსი შეიჩერა 7 (2.5 %) პროფესიულმა სტუდენტმა და სტატუსი შეუწყდა 17 (6%) სტუდენტს სტატუსეჩერებულთა და სტატუსშეწყვეტილთა საერთო რაოდენობა 2022 წელს აქტიური სტუდენტების მხოლოდ 8.5%, რაც ძალიან კარგი შედეგია ამ ეტაპისთვის

2022 წელს კოლეჯში სწავლა დაასრულა 144 პირმა. სწავლა დასრულდა პანდემიის პერიოდის ჯგუფებში, სადაც ძალიან მაღალი იყო სტატუსის შეწყვეტისა თუ შეჩერების მაჩვენებელი და შედეგები არასახარბიელოა (იხილეთ სტატისტიკა).

ჯგუფები	ჩაირიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა	კურსდამთავრებულ პირთა რაოდენობა
სარესტორნო მომსახურება (ჯგუფი № 1013/301) - დუალური	8	4
სასტუმრო მომსახურება (ჯგუფი № 1013/201) - დუალური	10	4
კულინარიის ხელოვნება (ჯგუფი № 1013/105) - დუალური	15	9
კულინარიის ხელოვნება (ჯგუფი № 1013/106)	15	8
ელექტროობა (ჯგუფი № 0713/105)	17	11
ელექტროობა (ჯგუფები; № 0713/106 და № 0713/107)	34	23
ინფორმაციის ტექნოლოგია (ჯგუფი № 0612/106)	20	7
ინფორმაციის ტექნოლოგია (ჯგუფი № 0612/107)	22	8
სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი (ჯგუფი №080360/11)	13	3
კონდიტერია (ჯგუფი № 1013/401)	14	8
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ჯგუფი №0612/201	20	8
შედუღება (შუახევის მისამართზე)	20	14
სამკერვალო წარმოება (ჯგუფები: №0723/101; №0723/102)	27	10
სამკერვალო წარმოება (ჯგუფი №0723/103)	11	5
ელექტროობა (შუახევის მისამართზე)	24	17
მშენებლობის წარმოება/იატაკისა და ფილის სამუშაოები (ჯგუფი № 0732/102 (101)	25	5
სულ	295	144

კოლეჯში აქტიურად ფუნქციონირებს ზრდასრულთა განათლების სისტემა. 2022 წელს კოლეჯმა განახორციელა 8 პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა.

1. ბარის ორგანიზება და ფუნქციონირება
2.კერძების მომზადების ტექნოლოგია
3. ყალიბების მოწყობა მშენობლობის პროცესში და ყალიბში ბეტონის ჩაწყობა
4. საარმატურე სამუშაოები
5. ჰიგიენა და სანიტარული ნორმები
6. სერვისის და სერვირება
7. სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა (ჰაუსქიფინგი) - მომზადება
8 . ქალის ტანსაცმლის კონსტრუირება, მოდელირება, კერვა

პროგრამებზე სულ დარეგისტრირდა 258 აპლიკანტი, აქედან ჩაირიცხა 151 მსმენელი, ხოლო პროგრამები წარმატებით დაასრულა 109 კურსდამთავრებულმა. სასწავლო პროცესი გრძელდება პროფესიული მომზადების პროგრამაზე ,,ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება“ (12 მსმენელი).

მიზანი 2 - *კოლეჯის ცნობადობის გაზრდა კომუნიკაციის დივერსიფიცირებული გზებით და პროფესიული სტუდენტებისა და მსმენელების რაოდენობის ზრდა*

2.1.1. შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან

ყოველწლიურად კოლეჯი ,,ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღებასთან დაკავშრებით ატარებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - საჯარო სკოლებში საინფორმაციო/ საკონსულტაციო გასვლითი შეხვედრების ორგანიზებას აჭარის რეგიონის მასშტაბით.2022 წელს საპროფორიენტაციო გასვლითი შეხვედრები განხორციელდა შემდეგ საჯარო სკოლებში:

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N14 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N22 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N23 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N28 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N29 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა

დაბა შუახევის საჯარო სკოლა

ასევე ვიზიტით კოლეჯში იმყოფებოდნენ:

სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N15 სჯარო სკოლა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური ცენტრის სოციალური მუშაკების მხარდაჭერით პროფესიული განათლებით დაინტერესებული პირები,

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ თხილნარის №2 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა

შპს ელიტური სკოლა ,,გორდა"

საჯარო სკოლის მე 9-12 კლასის მოსწავლეებზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია კოლეჯის მიერ გამოცხადებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ინტეგრირებული პროგრამების, დუალური პროგრამების, პროფესიული ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების, ჩარიცხვის წესის, მისაღები რაოდენობის, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის და სხვა სიახლეების შესახებ. კოლეჯში ვიზიტის დროს მოსწავლეები გაეცნენ კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებს და მატერიალურ ტექნიკური ბაზას, ასევე საკუთარი ძალები მოსინჯეს სხვადასხვა პროფესიაში. სულ აჭარის ა/რ 500 - მეტ საჯარო სკოლის მოსწავლეებთან მოხერხდა შეხვედრა. ~

1. 2022 წელს პროფესიული უნარების სააგენტომ საჯარო სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების მიზნით განაახლა საორიენტაციო კურსები 450 საჯარო სკოლაში მთელი საქართველოს მასშტაბით. კოლეჯმა ბლექსი განახორციელა საორიენტაციო კურსები აჭარის ა/რ 23 საჯარო სკოლაში 4 პროგრამის ფარგლებში: პროფესიული უნარების განვითარების კურსი სამკერვალო წარმოებში, ელექტროობაში, ინფორმაციის ტექნოლოგიასა და სამკერვალო წარმოებაში.

საორიენტაციო კურსები განკუთვნილია მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის და მისი მიზანია:

- ✓ ზოგად და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
- ✓ პროფესიული განათლების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა სკოლის მოსწავლეებსა და სასკოლო საზოგადოებაში;
- ✓ კარიერის მართვის სერვისების განვითარება და სკოლის მოსწავლეებისთვის გააზრებული და ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღების პროცესის ხელშეწყობა,

2. სკოლებში ვიზიტის დროს პროექტში ჩართული სკოლის მოსწავლეებზე მიწოდებული იქნა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ინტეგრირებული პროგრამების, დუალური პროგრამების, მოდულური პროგრამების და ყველა არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობის შესახებ: პროგრამების დასახელების, პროგრამების შინაარსის, პროგრამის სილაბუსების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დასაქმების შესაძლებლობების, სწავლის საფასურის, სახელმწიფო დაფინანსების, რეგიონების, ქალაქების, სოფლების შესახებ, სადაც შესაძლებელია პროფესიის დაუფლება. ასევე პროფესიისთვის მნიშვნელოვანი ცოდნის და დასაქმებისთვის აუცილებელი განათლების საფეხურის, პროფესიული ტესტირების, მოტივაციური გასაუბრების, ჩარიცხვის წესის, მისაღები რაოდენობის, საინტერესო პროფესიების, პროფესიის არჩევის, მომავალი პროფესიის და კარიერის მართვის სერვისების განვითარების შესახებ.

3. სკოლის მოსწავლეები პროფორიენტაციის მიზნით იმყოფებოდნენ კოლეჯში სასწავლო ექსკურსიაზე:

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N20 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N30 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის №2 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ახალშენის საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N15 სჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელვაჩაურის №1 საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩხუტუნეთის საჯარო სკოლა

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სალიბაურის #1 საჯარო სკოლა

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის საჯარო სკოლა

სსიპ სეიდ გვარიშვილის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალას საჯარო სკოლა

დღის ცენტრის "იალქანი" ბენეფიციარები

შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა

სსიპ ქალაქ ბათუმის N 8 საჯარო სკოლა

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლა

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. დიდაჭარის საჯარო სკოლა

სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლა

სსიპ დაბა ქედის საჯარო სკოლა

საჯარო სკოლის მე 8 -9 კლასის მოსწავლეებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ ტექნიკური ბაზა და საკუთარი ძალები მოსინჯეს სხვადასხვა პროფესი.

4. მუმდივად მიმდინარეობს სწავლით დაინტერესებული მხარეებისთვის, აპლიკანტებისთის, მათი მშობლებისთვის კონსულტაციების გაწევა კოლეჯში არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მომზადება/გადამზადების პროგრამების, ჩარიცხვის წესის, მოტივაციური გასაუბრების, პროგრამების დასახელების, პროგრამების შინაარსის, პროგრამის სილაბუსების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, დასაქმების შესაძლებლობების, სწავლის საფასურის, სახელმწიფო დაფინანსების, რეგიონების, ქალაქების, სოფლების შესახებ, სადაც შესაძლებელია პროფესიის დაუფლება.

5. პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის მიმდინარეობს დახმარება რეგისტრაციასა (პირველადი, მეორადი) და პროგრამის არჩევანზე.

6. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ ხდება დაკავშირება აპლიკანტთათვის (პირველადი, მეორადი) (ტელეფონი, ელფოსტა,) მოტივაციური გასაუბრების თარიღებისა და პროფესიული ტესტირების შესახებ.

7. ჩარიცხული სტუდენტებისთვის (პირველადი, მეორადი) ხდება დაკავშირება ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

8. ჩარიცხული სტუდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიღებაში მონაწილეობა.

მტკიცებულება: აჭარის ა/რ რესურსცენტრები. კოლეჯის ოფიციალური გვერდი www.facebook,com/ კოლეჯი - ბლექსი, ფოტო მასალა, პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა/WSD Program

2.1.3. ღონისძიება: შეხვედრები პარტნიორ და პოტენციურ პარტნიორ ორგანიზაციებთან

მუდმივად მიმდინარეობს შეხვედრები სოციალური პარტნიორებთან, სამიზნე დარგის კომპანიებთან, მათი ინფორმირება კოლეჯში არსებული სიახლეებისა და გამოწვევების შესახებ, ინფორმაციის გაცვლა, დასაქმების ხელშეწყობის სერვისებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ამაღლება და სწავლის პროცესში მათი ჩართულობის გაზრდა. 2022 წლის 18 აპრილიდან 25 აპრილის ჩათვლით პლატფორმა zoom პროგრამის საშუალებით მოხდა შეხვედრები ბლექსის პარტნიორ და პოტენციურ პარტნიორ ორგანიზაციებთან, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან, რესურს ცენტრების ხელმძღვანელებსა და დემოკრატიის ინსტიტუტის წარმომადგენელთან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით. ასევე სატელეფონო კომუნიკაციისა და ობიექტებე ვიზიტის საშუალებით მოხდა ზრდასრულთა მომზადება/გადამზადება პროგრამების ფარგლებში მოხდა დაკავშირება დამსაქმებლებს/პოტენციურ დამსაქმებლებთან და მიწოდებული იქნა ინფორმაცია პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მიღებასთან დაკავშირებით.

4 ოქტომბერს, ბათუმში, ევროკავშირის მხარდაჭერით, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, რომლის მიზანი იყო პროფესიულ სასწავლებლებსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობის გაღრმავება. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა საგანმანათლებლო სერვისების მიმწოდებლებმა.

მტკიცებულება: ფოტო მასალა, დიდი კონკურსი მომზადების პროგრამებზე, კოლეჯის ოფიციალური გვერდი www.facebook,com/ კოლეჯი - ბლექსი,

2.2.2. კომუნიკაცია ინფორმაციის მასობრივი საშუალების გამოყენებით

I – II – III – IV კვარტალში კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ გადაცემებში:

02.05.2022 კოლეჯის „ბლექსი" პიარ - მენეჯერი თამარ დიასამიძე და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი მანანა კობალაძე იმყოფებოდნენ სტუმრად გადაცემაში

"კონტაქტი FM104.5" პროფესიული მომზადების პროგრამებისა და გრძელვადიანი პროგრამების რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით.

04.05.2022 კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორი გიორგი გოგიტიძე და პიარ - მენეჯერი თამარ დიასამიძე სტუმრად იმყოფებოდნენ გადაცემაში ,,ეს შუადღეა“ სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიულსაგანმანათლებლოპროგრამებზე რეგისტრაციის ვადების, პროცესის, პროგრამების, შეჩევის წესებისა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით.

11.05.2022 კოლეჯის ,,ბლექსი" პიარ - მენეჯერი თამარ დიასამიძე იყო გაზეთს ,,აჭარა“ სტუმარი, სადაც ისაუბრა პროფესიული სასწავლებლის საქმინობაზე.

კოლეჯის დირექტორი 2022 წლის 23 ივნისს იყო ვებინარის სტუმარი, სადაც ისაუბრა თუ რა პროგრამებს სთავაზობს პროფესიული კოლეჯი სწავლის მსურველებს, როგორია დასაქმების მაჩვენებლები და რატომ ირჩევენ უმაღლესდამთავრებულები პროფესიულ კოლეჯს.

19.02.2022 კოლეჯის დირექტორის მოადგილე ქალბატონი მაია თოიძე იმყოფებოდა გადაცემაში ,,ZOOM განათლებაზე“ არაფორმალური განათლების აღიარების მოპოვების მიზნით.

13.09. 2022 - დირექტორის მოადგილე და დემოკრატიის ინსტიუტის წარმომადგენელი სტუმრად იმყოფებოდნენ "კონტაქტი FM104.5" პროფესიული მომზადების პროგრამაზე "ღვინის ტექნოლოგიური დამუშავება რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით.

25.10. 2022 კოლეჯის დირექტორი ალუმნი გრანტების გამარჯვებული ახალგაზრდების შეხვედრები მოსწავლეებთან ფარგლებში შეხვდა ციხისძირისა და ქედის სკოლის მოსწავლეებს და ისაუბრა პროფესიული განათლების, აგრო სფეროსა და ტურიზმის როლის აჭარის რეგიონში" შესახებ.

12.09.2022 კოლეჯის დირექტორის მოადგილემ გაზეთ ბათუმელებში ისაუბრა პროფესიული დიპლომით საზღვარგარეთ დასაქმებასთან დაკავშირებით.

01.08.2022 კოლეჯის დირეტორი სტუმრად იმყოფებოდა აჭარის ტელევიზიაში და ისაუბრა შრომის ბაზარზე კრიზისის შესახებ.

25,07.2022 კოლეჯის დირექტორი სტუმრად იმყოფებოდა "კონტაქტი FM104.5", სადაც ისაუბრა 2022 წლის მიღებასა და რეგისტრაციის ვადების შესახებ.

მტკიცებულება: კოლეჯის ოფიციალური გვერდი www.facebook,com/კოლეჯი - ბლექსი, კოლეჯის ოფიციალური გვერდი blacksea.edu.ge.

2.2.3. კომუნიკაცია სოციალური მედიის საშუალებით

კოლეჯის ოფიციალურ ვებ. გვერდებზე მიმდინარეობს კოლეჯის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა წარმატებული შემთხვევების გავრცელება რუბრიკით ,,წარმატებული

კურსდამთავრებული“. კოლეჯმა განათავსა სიუჟეტი ქვემოთ ჩამოთვლილ კურსდამთავრებულებზე/მსმენელებზე:

1. *ზურაბ კილაძე - ელექტროსამონტაჟო სამუშაოები შენობის შიდა და გარე პერიმეტრზე*
2. *სალომე ბერიძე - სასტუმრო მომსახურება*
3. *ნანა გოგია - სასტუმრო მომსახურება*
4. *ეკა დანელია - სასტუმრო მომსახურება*
5. *ქეთი ქორიძე - სარესტორნო მომსახურება*
6. *დათო ფარტენაძე - სარესტორნო მომსახურება*
7. *ცირა ხოზრევანიძე - სარესტორნო მომსახურება*
8. *რუსიკო ხოზრევანიძე - სარესტორნო მომსახურება*
9. *სოფიო კირკიტაძე - ელექტროობა*
10. *ლინდა ფარტენაძე - კერძების მომზადების ტექნოლოგია*

მტკიცებულება: კოლეჯის ოფიციალური გვერდი www.facebook,com/კოლეჯი - ბლექსი, კოლეჯის ოფიციალური გვერდი blacksea.edu.ge, გაზეთი „აჭარა“.

2.2.4. გამოფენებში მონაწილეობა

2022 წლის 26 მაისს კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით პროფესიულ ფესტივალში.

2022 წლის 26 მაისს კოლეჯის ახალგაზრდული კლუბის „ევრიკა“ კულინარია - კონდიტერიის ინტერესების ჯგუფმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სიმბოლურ ღონისძიებაში, სადაც სხვადასხვა აქტივობებთან ერთად განახორციელეს საინფორმაციო კამპანია.

13-15.05.2022 კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო ტურიზმის და სასტუმრო აღჭურვილობის მე-13 საერთაშორისო გამოფენაში „EXPO BATUMI TRAVEL 2022”

2.3.2.პროფესიული სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის შემეცნებითი ღონისძიებებში ჩართვა კარიერული უნარების განვითარების მიზნით

კოლეჯის სტუდენტების კარიერული უნარების განვითარების მიზნით კოლეჯი მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა ღონისძიებებში:

1. 25.05.2022 კოლეჯმა მონაწილეობა მიიღო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციასთან თანამშრომლობით დასაქმების ფორუმში. ფორუმში აჭარის 100 - ზე მეტმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა. კოლეჯის სტუდენტებმა ჯერ გაიარეს რეგისტრაცია საიტზე, დაესწრნენ დასაქმების სააგენტოს მიერ მომზადებულ ტრენინგს თემაზე: „როგორ გავიაროთ გასაუბრება და როგორ წარვადგინოთ თავი დამსაქმებელთან“ და პირისპირ რეჟიმში მოახდინეს დამსაქმებლებთან გასაუბრება.

2. 17.04.2022 კოლეჯმა დაორგანიზა შეხვედრა ,,აჭარისწყალი ჯორჯია“ - ს წარმომადგენლებთან ყოველწლიურად ელექტროობის მიმართულებით სტაჟირების პროგრამასთან დაკავშირებით.
3. 15.04.2022 კოლეჯის "ბლექსი" სტუდენტებმა/ კურსდამთავრებულებმა/ მსმენელებმა მონაწილეობა მიიღო სასტუმრო ,,ლე მერიდიენ“ ბათუმსა და სასტუმრო ,,პარაგრაფი“ შეკვეთილში მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში.
4. 17.03.2022 კოლეჯმა ახალგაზრდული რეგიონული ცენტრთან დაიწყო აქტიური თანამშრომლობა სტუდენტების/მსმენელების კარიერული განვითარების ხელშეწყობისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ახალგაზრდების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობის და სხვა ასპექტების განვითარების მიზნით.
5. კოლეჯს „ბლექსი“ და ენერგო პრო ჯორჯიას ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე კომპანიამ 2022 წელს აირჩია ელექტროობის პროფესიული სტუდენტი სოფიო კირკიტაძე, რომელიც სწავლის განმავლობაში კომპანიისგან მიიღებს სტიპენდიას და სწავლის დასრულების შემდეგ დასაქმდება აღნიშნულ კომპანიაში.
6. კოლეჯის "ბლექსი" პროფესიული სტუდენტებისათვის „ცოდნისა და უნარების განვითარების ქსელებისა და პლატფორმების“ (LINKS) პროექტის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის დაფინანსებით, „საქართველოს გაეროს ასოციაციისა“ (UNAG) და „საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის“ (OSGF) მიერ, ჩატარდა ტრენინგი თემაზე: "ეფექტური CV და გასაუბრების უნარ ჩვევები",
7. სასტუმრო ,,ჰილტონ ბათუმ“ - ში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია (SMEDA) ორგანიზებით დასაქმების ფორუმი გაიმართა 2022 წლის 27 სექტემბერს, სადაც წარმოდგენილი იქნა სხვადასხვა სფეროს წამყვანი კომპანიები აქტიური ვაკანსიებით მთელი საქართველოს მასშტაბით.
8. სასტუმრო მომსახურების (დუალური), სასტუმრო მომსახურების (ინტეგრირებული), კულინარიის ხელოვნების (მოდულური) ჯგუფების სტუდენტები გაცნობითი პრაქტიკის მოდულის ფარგლებში ინფო ტურით იმყოფებოდნენ სასტუმროებში: ,,ლე მერიდიენ ბათუმი“, ,,შერატონ ბათუმი“, ,,კასტელო მარე“, ,, რედისონ ბლუ ბათუმი“, ,, ჰილტონ ბათუმი“.
9. 2022 წლის 08 დეკემბერს, სასტუმროში "რადისონ ბლუ ბათუმი", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით ჩატარდა კოლეჯის "ბლექსი" "კულინარიის ხელოვნების", "სასტუმრო მომსახურებისა" და "სარესტორნო მომსახურების" დუალური პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომების გადაცემის ცერემონიალი.
10. დამსაქმებლები, /პოტენციური დამსაქმებლებთან მოხდა დაკავშირება და მათი შეხვედრების ორგანიზება პროფესიული სტუდენტს/ მსმენელს/ კურდამთავრებულთან: სასტუმრო ,,ლე მერიდიენ ბათუმი“, სასტუმრო ,,კამეა“, საკონდიტრო ,,ლა პეტიტ“, სასტუმრო ,,გრანდ გლორია“, ტვ ერა“, კაფე ,,პრივეტ იზ ბატუმა“. რესტორანი ,,ბათუმის გული“, რესტორანი ,,ანბანის კოშკი“, რესტორანი ,,ტიფლისი“, რესტორანი ,,ერა“, სასტუმრო ,,დივან:, სასტუმრო ,,რით რიზოლტი“,

მარკეტი ,,აგრო ჰაბი“, ,,ვილმარტი“, საკონდიტრო ,,სიდონია“, სასტუმრო ,,შერატონ ბათუმი“, ,,ასევე დამსქმებლების მიერ მოწოდებული ვაკანსიები მიწოდებული იქნა პროფესიული სტუდენტებისთვის დისტანციურად (ფესიბუქის გვერდზე, ინდივიდუალურ ჯგუფებში)

11. სისტემატიურად მიმდინარეობს პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს/ კურსდამთავერბულებზე cv და სამოტივაციო წერილის მომზადებაში დახმარება, გასაუბრებისთვის მომზადება და კონსულტაციების გაწევა შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

მტკიცებულება: კოლეჯის ოფიციალური გვერდი www.facebook,com/კოლეჯი - ბლექსი, კოლეჯის ოფიციალური გვერდი blacksea.edu. ge, ფოტო მასალა.

2.3.3.2.3.3. პროფესიულ სტუდენტთათვის სხვადასხვა ტიპის არაფორმალური ტიპის შემეცნებითი ღონისძიების ორგანიზება

03.05.2022 კოლეჯის ,,ბლექსი“ პროფესიულ სტუდენტთა და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად მოხდა საინფორაციო მასალის (ფლაერების) გავრცელება რეგისტრაციის დაწყებასა და მიღებასთან დაკავშირებით

27.06.2022 წითელი ჯვრის ბათუმის ფილიალის მხარდაჭერით კოლეჯში ,,ბლექსი“ ჩატარდა ტრენინგი პირველადი სამედიცინო დახმარების თემაზე

05.07.2022 კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული სტუდენტებისთვის ჩატარდა საიფორმაციო შეხვედრა თემებზე: უსაფრთხო მიგრაცია, უვიზო მიმოსვლა, ლეგალური დასაქმება, ადამიანებით ვაჭრობა და სხვა თემებზე.

07.06.2022 კოლეჯის ,,ბლექსი“ პროფესიულ სტუდენტთა და ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ერთად მოხდა საინფორმაციო მასალის (პლაკატების) გავრცელება რეგისტრაციის დაწყებასა და მიღებასთან დაკავშირებით,

14.12.2022 წელს წითელი ჯვრის ბათუმის ფილიალის მხარდაჭერით, კოლეჯში „ბლექსი" პროფესიული სტუდენტებისათვის ჩატარდა ტრენინგი პირველი გადაუდებელი დახმარების თემაზე.

13.12.2022 წელს პროფესიული სტუდენტებისათვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ფილიალის პირველი ფსიქოსოციალური დახმარების ტრენერებმა ჩაატარეს ტრენინგი თემაზე - სტრესი, სტრესთან გამკლავების სწორი და არასწორი მიდგომები".

09.12. 2022 წელს კოლეჯის "ბლექსი" პროფესიული სტუდენტებისათვის, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ბათუმის ფილიალის მხარდაჭერით, ჩატარდა ტრენინგი თემაზე - "ბუნებრივი კატასტროფების პრევენცია და მართვა".

07.12. 2022 წელს წითელი ჯვრის მოხალისეები იმყოფებოდნენ კოლეჯის "ბლექსი" ქედის მუნიციპალიტეტის მისამართზე, სადაც სტუდენტებს ჩაუტარდათ ტრენინგი პირველი გადაუდებელი დახმარების თემაზე.

კოლეჯში "ბლექსი" 2022 წლის მიღებაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტები გაეცნენ ინფორმაციას: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის, ბიბლიოთეკარის ფუნქცია მოვალეობების, ელექტრონული რესურსებისა და OPENBIBLIO-ს შესახებ

მტკიცებულება: კოლეჯის ოფიციალური გვერდი www.facebook,com/კოლეჯი - ბლექსი, კოლეჯის ოფიციალური გვერდი blacksea.edu. ge, ფოტო მასალა.

ღონისძიება: კურსდამთავრებულთა კვლევა

კოლეჯში ყოველწლიურად მიმდინარეობს კურსდამთავრებულთა კვლევა. კურსდამთავრებულთა კვლევა საუკეთესო საშუალებაა სწავლების გრძელვადიანი შედეგების გაზომვის, შეფასების და აღწერისთვის. კვლევის მიზანია შესწავლილი იქნას როგორ აფასებენ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" კურსდამთავრებულები კოლეჯის მიერ მათთვის გაწეულ მომსახურებას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებაში, დამსაქმებელთა მოთხოვნისა და კოლეჯში მიღებული ცოდნის შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული იქნას ინფორმაცია სწავლის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობასთან დაკავშირებით: რამდენი კურსდამთავრებული დასაქმდა პროფესიით, რამდენია თვითდასაქმებული და რამდენი მუშაობს არასპეციალობით, ასევე, რამდენმა გააგრძელა სწავლა, რამდენი არის სამსახურის გარეშე და რა არის მათი უმუშევრობის მიზეზი.
კურსდამთავრებულთა კვლევა მიმდინარეობს კოლეჯის მიერ შემუშავებული კვლევის მეთოდოლოგის დანართის სახით წარმოდგენილი კითხვარის საშუალებით, რომლის შედეგად შეგროვებული მონაცემებით შესაძლებელი ხდება კოლეჯში არსებული მდგომარეობის, სწავლა/სწავლების ხარისხის, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, და კოლეჯის „ბლექსი" კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა. კვლევისათვის საჭირო ინფორმაციის მისაღებად კვლევის სამიზნე ჯგუფად განისაზღვრა სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" 14.03.2022 დამთავრებული ელექტროობის, 03.11.2021 დამთავრებული ელექტროობის, 02.03.2022 დამთავრებული ინფორმაციის ტექნოლოგიის, 25.03.2022 დამთავრებული ინფორმაციის ტექნოლოგიის, კონდიტერიის (დუალური პროგრამის), კულინარიის ხელოვნების(მოდულური), 30.05.2022 წელს დამთავრებული კულინარიის ხელოვნების (დუალური), 30.07.2021დამთავრებულიკულინარიის ხელოვნების (დუალური), სარესტორნო მომსახურების (დუალური), სასტუმრო მომსახურების (დუალური) სპეციალობისკურსდამთავრებულები სწავლის დასრულებიდან 6 თვის განმავლობაში. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 10 ჯგუფმა - 78 კურსდამთავრებულმა, ხოლო 6 კურსდამთავრებულმა ვერ მოახერხა მონაწილეობა კვლევაში. კვლევა მიმდინარეობდა 2022 წლის 4 მაისიდან 2022 წლის 20 ივნისის ჩათვლით.

მტკიცებულება: კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი, კვლევის ანალიზები, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში, სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ბაზა.

ღონისძიება: დამსაქმებელთა კვლევა

კოლეჯში ,,ბლექსი" 2022 წლის 30.06 – 10.07 ჩათვლით ჩატარდა კულინარიის ხელოვნების" პროგრამის დამსაქმებელთაკვლევა. კვლევის მიზანს წარმოადგენდა სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" კულინარიის ხელოვნების პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული ცოდნის და უნარების, ტრანსფერული კომპეტენციების შეფასება და სამომავლოდ ბლექსთან თანამშრომლობის სურვილი. კვლევაში მონაწილეობა მიიღეს დამსაქმებლებმა, რომელთანაც დასაქმებული იყო ბლექსის კურსდამთავრებული/ ან სტუდენტი. კვლევა ემსახურება პროგრამის ხარისხის და სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებას.

ძირითადი მიგნებები:

1. ყველა 100% დამსაქმებელი თვლის, რომ ბლექსის სტუდენტები/კურსდამთავრებულები მოტივირებულები არიან სამუშაო ობიექტზე
2. 95% (19) დამსაქმებელი თვლის, რომ ბლექსის სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს პროგრამის გავლის შემდეგ მიღებული ცოდნა და უნარი ეხმარება დასაქმებაში
3. 75 % (15) დამსააქმებელი სურვილს გამოთქვამს ითანამშრომლოს ბლექსთან რომელიმე პროგრამის განხორციელებაში
4. 95% (19) დამსაქმებელი მზაობას გამოხატავს ბლექსის სტუდენტის/კურსდამთავრებულის დასაქმებაში
5. მხოლოდ დამსაქმებელთა 35% (7) გამოთქვამს სურვილს ბლექსის შშმ სტუდენტის/კურსდამთავრებულის დასაქმებაში

დამსაქმებელთა კვლევიდან გამოიკვეთა, რომ დამსაქმებლები მეტ-ნაკლებად კმაყოფილნი არიან ბლექსის სტუდენტთა/ კურსდამთავრებულთა ცოდნითა და ტრანსფერული უნარებით. თითქმის ყველა დამსაქმებელი თვლის, რომ ბლექსის სტუდენტს/ კურსდამთავრებულს დაასაქმებს თავის ობიექტზე, ასევე თითქმის ყველა დამსაქმებელი თვლის, რომ პროფესიულ სტუდენტს/ კურსდამთავრებულს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარები ეხმარება დასაქმებაში. დამსაქმებლები კომენტარში, შენიშვნაში მეტ მოტივაციას, პრაქტიკას, იუმორის გრძნობას დასაქმისადმი შემოქმედებით მიდგომას ურჩევენ ბლექსის სტუდენტებს/ კურსდამთავრებულებს, ხოლო სასწავლებელს საპრაქტიკო გარემოს ტექნიკური ნაწილის გაძლიერებას. სამწუხაროდ უცხო ენის/ენების ფლობის უნარი დღემდე პრობლემას წარმოადგენს ბლექსის სტუდენტთა /კურსდამთავრებულთათვის, ასევე

სამწუხაროა, რომ პრობლემად რჩება დამსაქმებელთა მიერ შშმ პირების დასაქმების სურვილი, მხოლოდ ორი დამსაქმებელი გამოთქვამს მზაობას, მთლიანობაში დამსაქმებელთა მიერ უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია.

მტკიცებულება: დამსაქმებელთა კვლევის კითხვარი, კვლევის ანალიზი, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის ანგარიში.

ღონისძიება: მონიტორინგი კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ პროგრამის დასრულებიდან 6 თვეში

ყოველწლიურად ტარდება კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების სტატისტიკა. (სამუშაოს მაძიებელი სტუდენტების/კურსდამთვრებულთა დასაქმების შესახებ ინფორმაცია კურსის დასრულებიდან 6 თვის მონაცემებით.

დასაქმების მონიტორინგი 2021- 2022 სასწავლო წლის 6 თვე და ერთი წლის მონაცემებით 12.07.2022

N	სპეციალობა	კურსდამთავრებულ	პროგრამის დაწყება	პროგრამის დამთავრება	დასაქმების მონიტორინგი 6 თვის მონაცემებით	%	დასაქმების მონიტორინგი 1 წლის მონაცემებით	%
1	ელექტროობა	13	02.12.2019	03.11.2021	8	62%	10	77%
2	საავტომობილო გზების მშენებლობა (დუალური)	13	03.12.2018	01.09.2021	10	77%	11	84.6%
3	კულინარიის ხელოვნება (დუალური)	11	03.12.2018	02.08.2021	9	82%	10	90.9%
4	კულინარიის ხელოვნება (მოდულური)	10	03.06.2019	06.11.2021	8	80%	8	80%
5	კონდიტერია (დუალური)	7	03.12.2018	02.08.2021	5	71%	6	85.7%
6	ელექტროობა	11	05.10.2020	14.03.2022	8	72.7%		
7	კულინარიის ხელოვნება (დუალური)	9	02.12.2019	15.06.2022	8	88.8%		
8	სარესტორნო მომსახურება	4	02.12.2019	27.06.2022	4	100%		
9	სასტუმრო მომსახურება	4	02.12.2019	27.06.2022	3	75%		

10	ინფორმაციის ტექნოლოგია	7	02.12.2019	02.03.2022	2	28.5%		
11.	ინფორმაციის ტექნოლოგია	8	10.11.2020	25.03.2022	2	25%		

დასაქმების მონიტორინგი 2021- 2022 სასწავლო წლის ერთი წლის მონაცემებით
20.12. .2022

N	სპეციალობა	კურსდამთავრებულთა რაოდენობა	პროგრამის დაწყება	პროგრამის დამთავრება	დასაქმების მონიტორინგი 6 თვის მონაცემებით	%	დასაქმების მონიტორინგი 1 წლის მონაცემებით	%
1	ელექტროობა	11	05.10.2020	14.03.2022	8	72.7%	10	90.9%
2	კულინარიის ხელოვნება (დუალური)	9	02.12.2019	15.06.2022	8	88.8%	8	88.9%
3	სარესტორნო მომსახურება	4	02.12.2019	27.06.2022	4	100%	3	75%
4	სასტუმრო მომსახურება	4	02.12.2019	27.06.2022	3	75%	3	75%
5	ინფორმაციის ტექნოლოგია	7	02.12.2019	02.03.2022	2	28.5%	4	57.1%
6.	ინფორმაციის ტექნოლოგია	8	10.11.2020	25.03.2022	2	25%	4	50%
7	ელექტროობა	23	08.11.2021	21.10.2022	13	56.5%		
8	ელექტროობა (შუახევი)	17	08.11.2021	01.11.2022	10	58.8%		
9	შედუღება (შედურება)	14	08.11.2022	19.07.2022	8	50%		
	სულ	97			58		32	

მტკიცებულება: კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი 6 თვის და 1 წლის მონაცემებით, კურსდამთავრებულთა სახელობითი ბაზა